ერთი საგანამანათლებლო რესურსი-
ავტოპორტრეტი მათემატიკურად

ავტორი: **ნათია უჩავა**

მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ მიმდინარეობს საგაკვეთილო პროცესი. ისინი უფრო მეტი ინტერესით ერთვებიან, როდესაც ის სახალისოა. დაწყებით კლასებში დიდი დრო ეთმობა თამაშით სწავლებას. მათ მოსწონთ, როდესაც ეძლევათ საშუალება, საკუთარი უნარები გამოავლინონ. ასევე ძალიან მოსწონთ საკუთარი გამოცდილებისა და ამბის გაზიარება მასწავლებელთან და კლასთან.

მოსწავლეები დაწყებითი კლასიდანვე ეჩვევიან საკუთარი თავის წარდგენას. მე ვისაუბრებ კონკრეტულად მათემატიკის გაკვეთილზე, როგორ შეიძლება წარადგინო საკუთარი პორტრეტი ისე, რომ იყოს სახალისო, საინტერესო და ამავდროულად შემეცნებითი.

მინდა გაგიზიაროთ ჩემი მოსწავლეების საყვარელი აქტივობა „ავტოპორტრეტი მათემატიკურად“, რომელსაც ხშირად ვიყენებ დაწყებით კლასებში.

გაკვეთილის დაწყებისთანავე მოსწავლეებს ვაცნობ,
რომ დღევანდელი გაკვეთილი იქნება ძალიან სახალისო და საპასუხისმგებლო და მათ
მოუწევთ მათემატიკურ ენაზე შექმნან და წარადგინონ საკუთარი „პორტრეტები“ ,
ვესაუბრები იმაზე, თუ რა არის პორტრეტი, რომელიც ხელოვნების საგანში უკვე შესწავლი
ლი აქვთ ,
დღეს კი მათემატიკის გაკვეთილზე მათემატიკური განხრით იქნება ის განხილული. ვმარაგ
დებით რესურსებით, როგორიცაა: **თაბახის ფურცელი, ფერადი ფურცლები, მაკრატელი, წ
ებო და ფერადი ფანქრები. მოსწავლეებს ვაცნობ, რომ მუშაობა იქნება ინდივიდუალურ
ი.**

პირველ რიგში, მათ ვაცნობ
დაფაზე წარმოდგენილ სქემას, რისი გაკეთება მოუწევთ. შემდეგ ისინი ამ ყველაფერს გად
აიტანენ ფურცლებზე. ვწერ რამდენიმე სათაურ-კითხვას, რისი პასუხებითაც იქმნება „
ავტოპორტრეტი მათემატიკურად“. ეს სათაურებია:

ჩემი ასაკი –

ჩემი დაბადების რიცხვი –

დაბადების თვე –

ჩემი სახელის ასოების რაოდენობა –

©განათლების e- სახლი

ჩემი კლასი –

ჩემი ფეხის ზომა –

სპორტის რამდენ სახეობაზე დავდივარ –

ჩემი ოჯახის წევრების რაოდენობა –

თითოეული სათაურის ქვეშ უნდა მოიფიქრონ ისეთი ტოლობები, რომელიც სათაურის პასუხი იქნება. აუცილებლად უნდა გამოიყენონ შეკრება-გამოკლება, გაყოფა-გამრავლება (რაც შესწავლილი აქვთ). მაგალითად, თუ ჩემი სახელი შედგება ხუთი ასობგერისგან, მოსწავლემ სათაური ,,ჩემი სახელის ასოების რაოდენობ"-ის ქვეშ უნდა დაწეროს შემდეგი ტოლობა : 25:5. პასუხებს არ ვუწერთ, რადგან ვინც ჩვენი პორტრეტის გაცნობას მოინდომებს, თავად გამოთვლის. ფურცლის ცენტრში ვხატავთ ასევე ჩვენს თავს, ვუკეთებთ სათაურს ,,ეს მე ვარ." მოსწავლეებს გემოვნებისამებრ შეუძლიათ გააფორმონ სათაური, პასუხები, მთლიანი ფურცელი. სასურველია, თუ იქნება ადვილად აღსაქმელი. მეც ვადგენ ჩემს პორტრეტს მათემატიკურად და ჩემს მოსწავლეებს როცა აქვთ სამუშაო, მეც ვმუშაობ მათთან ერთად. აი ჩემი ნამუშევარი:

©განათლების e- სახლი

მას შემდეგ, რაც ყველა მოსწავლე შეადგენს თავის პორტრეტს, ხდება პრეზენტაცია. მოსწავლეებს უვითარდებათ პრეზენტაციის უნარ-ჩვევები. ყოველი მოსწავლის პრეზენტაციის შემდეგ ხდება გამოთვლა და მონაწილეობის მიღება თანაკლასელის პრეზენტაციაში. ამ დროს ყველა მოსწავლე არის პროცესში ჩართული. რა თქმა უნდა, მასწავლებელს შეუძლია სათა ურები შეცვალოს , მოსწავლის ინტერესებს და ასაკობრივ თავისებურებას მოარგოს.

ეს სავარჯიშო ძალიან მიყვარს, რადგან ის მეხმარება ისეთი გაკვეთილის ჩატარებაში რაც მოსწონთ ჩემს მოსწავლეებს, აყვარებთ საგანს, აყვარებთ ერთმანეთს და უვითარებთ ემოციურ ინტელექტს.

©განათლების e- სახლი